ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 12

ქ. ონი 19. 12. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 17 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, ნინო გობეჯიშვილი, სერგო ლობჯანიძე, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ანა ბაქრაძე, თამაზ მეტრეველი, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, თორნიკე მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, მერაბ ბიჭაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა ჩიკვილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი-ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, მერის მოადგილე-ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - თინათინ ბროლაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი-მაგდა მაისურაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი-მარინე რაზმაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

2.ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

3.„ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მაგდა მაისურაძე - ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი/

4„ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე/

5.,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე/

6.ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მარინე რაზმაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

7.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

8.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

9.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე - კომისიის თავმჯდომარე/

10.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

11.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ს. ლობჯანიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნა როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ასევე ყველა კომისიისა და ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ სხდომებზე, შემუშავებული შენიშვნები გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურს. შენიშვნები ნაწილობრივ გათვალისწინებულია წარმოდგენილ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში, წლის მანძილზე შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება დარჩენილი საკითხებიც. ბიუჯეტი მზარდია, რაც იძლევა საშუალებას მეტად იქნეს მოსახლეობის ინტერესები გატარებული.
ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ სამოცამდე შენიშვნა გაეგზავნა მერიას 2025 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ყველა ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, მაგრამ ძალიან კარგია, რომ რიგი შენიშვნებისა გათვალისწინებულია. აღსანიშნავია, რომ მომავალ ოთხწლიან ციკლში მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა მოასფალტდება და იქნება რეაბილიტირებული, თუმცა, როგორც სოფლებში წყლის სისტემის სწორი მენეჯმენტის პირობებში მოქცევამ მოგვცა დადებითი შედეგი და ამ კუთხით გარკვეულწილად მოგვარებულია ეს პრობლემა, ასევე, აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოფლების გზებიც მოექცეს ერთიან სისტემაში, რაც, უდაოდ, მოაგვარებს პრობლემებს ამ მიმართულებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილი აღურიცხავია. აუცილებელია, მოხდეს ქონების ინვენტარიზაცია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოსახლეობას გარკვეული პრეტენზიები აქვს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით. კარგი იქნება, თებერვლის სხდომაზე მოვისმინოთ მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებისგან, ბოლო სამი წლის მანძილზე რა სამუშაოები განხორციელდა სოფლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელია კარგად შესრულებული, რომელი არ მუშაობს და ა.შ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა : დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მოისმინეს: 3. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მაგდა მაისურაძე - ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მოისმინეს: 5.,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების

წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი .,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი ერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მოისმინეს: 6.ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მარინე რაზმაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი ერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

მოისმინეს: 8.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

მოისმინეს: 9. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

მოისმინეს: 10. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

მოისმინეს: 11.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე